

სამაგისტრო პროგრამის დასახელება –ბერძნულ-რომაული ფილოლოგია /Greek-Roman Philology.

სამაგისტრო პროგრამა ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიაში სტუდენტებს სთავაზობს სამ სასპეციალიზაციო მოდულს:

1. კლასიკური ფილოლოგია;
2. ბიზანტიური ფილოლოგია;
3. ახალი ბერძნული ფილოლოგია.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ფილოლოგიის მაგისტრი MA in Philology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი რისმაგ გორდეზიანი. მოდულების ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ირინე დარჩია (კლასიკური ფილოლოგია), ასოც. პროფ. თინა დოლიძე (ბიზანტიური ფილოლოგია), ასოც. პროფ. სოფიო შამანიდი (ახალი ბერძნული ფილოლოგია).

პროგრამის (მოდულების) ანალოგი

ოქსფორდის უნივერსიტეტი:

<http://www.classics.ox.ac.uk/admissions/graduate/courses.html>

<http://www.mod-langs.ox.ac.uk/greek/>

კემბრიჯის უნივერსიტეტი:

<http://www.admin.cam.ac.uk/univ/gsprospectus/subjects/classics/>

<http://www.admin.cam.ac.uk/univ/gsprospectus/subjects/mml/mml1.html>

ჰარვარდის უნივერსიტეტი:

<http://www.gsas.harvard.edu/programs/degree/classics.html>

<http://www.gsas.harvard.edu/programs/degree/special.html>

ოჰაიოს უნივერსიტეტი

http://omega.cohums.ohio-state.edu/resources/interdisciplinary_projects/byzantine_studies/

ბონის უნივერსიტეტი

<http://www.uni-bonn.de/www/Philologie/KlassPhil.html>

<http://www.uni-bonn.de/www/Philologie/Byzantinistik.html>

<http://www.uni-bonn.de/www/Philologie/Neugriechisch.html>

ათენის უნივერსიტეტი

<http://www.uoa.gr/uoauk/uoaindex.htm>

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს: კლასიკური, ბიზანტიური (შუა საუკუნეების) და ახალი ბერძნული ენის სპეციალისტები, მთარგმნელები ძველი ბერძნული, ლათინური, ბიზანტიური (შუა საუკუნეების) და ახალი ბერძნული ენებიდან, კლასიკური

ენებისა და ახალი ბერძნულის, ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

ბ) სწავლის შედეგები:

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ საგნებში:

კლასიკური ფილოლოგიის მოდული: ძველი ბერძნული და ლათინური ენები, კლასიკური ენების ისტორია, ანტიკური ლიტერატურა და კულტურა.

ბიზანტიური ფილოლოგიის მოდული: კლასიკური ხანისა და შუა საუკუნეების ბერძნული ენა, ბიზანტიური ლიტერატურა და კულტურა, ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები, შუა საუკუნეების ლათინური ენა.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდული: ახალი ბერძნული ენა, ახალი ბერძნული ლიტერატურა და კულტურა.

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

კლასიკური ფილოლოგიის მოდული: ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა, თარგმნილი ტექსტისათვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; კლასიკური ენების, ანტიკური ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა არა მხოლოდ ანტიკურობის კონტექსტში, არამედ თანამედროვეობასთან, ქართულ სამყაროსთან მიმართებითაც.

ბიზანტიური ფილოლოგიის მოდული: შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა, თარგმნილი ტექსტისათვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა არა მხოლოდ ბიზანტიური ეპოქის კონტექსტში, არამედ ანტიკურობასთან და თანამედროვეობასთან, ქართულ სამყაროსთან მიმართებითაც.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდული: ახალი ბერძნული ენიდან თარგმნა, თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა როგორც ანტიკურობასთან, ისე თანამედროვე ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებთან

მიმართებით. გარდა ამისა, მაგისტრი უნდა ფლობდეს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ახალი ბერძნული ენის სწავლებისათვის.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მაგისტრს უნდა შეეძლოს კვლევა არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით.

მაგისტრს უნდა შეეძლოს როგორც მისთვის საინტერესო ისტორიულ მონაკვეთში მიმდინარე ლიტერატურული და კულტურული პროცესების, ისე სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

გ) დასაქმების სფეროები:

სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი ცენტრები, უმაღლესი სასწავლებლებში გარდა აკადემიური თანამდებობებისა, ბერძნულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები, საბერძნეთისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია, ტურიზმი, არასამთავრობო სექტორი და სხვ.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სასურველია კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის სპეციალობით, თუმცა დაიშვებიან ნებისმიერი ჰუმანიტარული განათლების მქონე ბაკალავრები (ამ შემთხვევაში მაგისტრანტები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში კლასიკურ ენებს, შუა საუკუნეების ან ახალ ბერძნულს დამატებით ისწავლებიან თსუ ენების ცენტრში).

სტუდენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდას. გარდა ამისა სტუდენტები გამოცდას აბარებენ სპეციალობაში (ანტიკური, ბიზანტიური, ახალი ბერძნული ლიტერატურა).

სამაგისტრო პროგრამა „ბერძნულ-რომაული ფილოლოგია“ არ მოითხოვს სამუშაო გამოცდილების ქონას.

მისაღები გამოცდები ჩატარდება წერით, თსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაცია მისაღები კონტიგენტის შესახებ: სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან სტუდენტები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მოპოვებული აქვთ სპეციალობებში: კლასიკურ ფილოლოგია, ბიზანტიურ ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია. ასევე მიიღებიან ჰუმანიტარული ფაკულტეტის ნებისმიერი სპეციალობის კურსდამთავრებული სტუდენტები.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა – სამაგისტრო პროგრამა ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიაში სტუდენტებს სთავაზობს სამ სასპეციალიზაციო მოდულს: **1. კლასიკური ფილოლოგია; 2. ბიზანტიური ფილოლოგია; 3. ახალი ბერძნული ფილოლოგია.**

სასპეციალიზაციო მოდულის არჩევის ბოლო ვადა: I სემესტრი

კრედიტების განაწილება

სავალდებულო საგნები სამივე მოდულისათვის	30 კრედიტი
სავალდებულო საგნები თითოეული მოდულისათვის	30 კრედიტი
არჩევითი საგნები	30 კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი	30 კრედიტი

კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით

	I	II	III	IV
სავალდებულო საგნები სამივე მოდულისთვის	10	10	10	
სავალდებულო საგნები თითოეული მოდულისთვის	10	10	10	
არჩევითი საგნები	10	10	10	
სამაგისტრო ნაშრომი				30

შენიშვნა:

პროგრამის კვლევითი ნაწილი – 30 კრედიტი

პროგრამის სასწავლო ნაწილი – 90 კრედიტი

4 სავალდებულო საგანი სამივე მოდულისთვის – 30 კრედიტი

6 სავალდებულო საგანი თითოეული მოდულისთვის – 30 კრედიტი

6 არჩევითი საგანი – 30 კრედიტი

თანაფარდობა სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის: 60 / 30 კრედიტი

მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მაგისტრანტმა სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და/ან არჩევითი საგნები 30 კრედიტის მოცულობით, ჩაანაცვლოს მონათესავე სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებით (მაგალითად, ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია და სხვ.).

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და/ან არჩევითი საგნების ჩანაცვლება სხვა საგნებით და, შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა უნდა მოხდეს მაგისტრატურაში სწავლის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მათი წერილობითი თანხმობით. აღნიშნული ცვლილების შესახებ ოფიციალურად, წერილობით უნდა ეცნობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

საგნების ჩამონათვალი _ იხ. ფორმა #1

საგნების სილაბუსები – იხ. სტუდენტურ ბაზაში.

კვლევითი კომპონენტი – თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა.

კლასიკური ფილოლოგიის მოდული:

- ანტიკური ლიტერატურის აქტუალური პრობლემები
- კლასიკური ენების ისტორიისა და ფორმირების საკითხები
- ანტიკურ ავტორთა სტილისა და სახელთა თარგმნის საკითხები
- ტრადიცია და ნოვატორობა ანტიკურ სამყაროში

ბიზანტიური ფილოლოგიის მოდული:

- ბიზანტიური ლიტერატურის აქტუალური პრობლემები
- შუა საუკუნეების ბერძნული ენის ისტორიისა და ფორმირების საკითხები
- ბიზანტიელ ავტორთა ტექსტების შესწავლა

ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდული:

- ახალი ბერძნული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები
- ახალი ბერძნული ენის ისტორიისა და ფორმირების საკითხები
- XIX-XX საუკუნის ბერძენ ავტორთა ტექსტების შესწავლა
- ტრადიცია და ნოვატორობა ახალ ბერძნულ ლიტერატურაში

ინსტიტუტის მიერ მიღებული და ამჟამად არსებული სამეცნიერო გრანტები:

- რუსთაველის ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი პროექტისათვის „ანტიკური კავკასია“ (ენციკლოპედია)
- საბერძნეთის კულტურის სამინისტროს გრანტი პროექტისათვის „ქართულ-ბერძნული ლექსიკონი“
- პროგრამა “დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის (ფილოლოგია, ისტორია, ხელოვნება)”
- კლასიკური ენების მულტიფუნქციური ლექსიკონი. 1) ძვ. ბერძნული ენა 2) ლათინური ენა. რუსთაველის ფონდის პროექტი 2009 წელი
- საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტი პროექტისათვის: *ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში*.
- ახალი ბერძნული ენის თვითმასწავლებლის შედგენა და გამოცემა. კოსტას და ელენი ურანისების საქველმოქმედო ფონდი.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს, რომლის ბაზაზეც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა, აქვს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ტექსტების უახლესი გამოცემები, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ინსტიტუტს აქვს ელექტრონული

ბიბლიოთეკაც მისი პროფილის შესაბამისი ტექსტების, ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების ელექტრონული ვერსიებით.

ინსტიტუტი ფლობს აგრეთვე საინფორმაციო-კომპიუტერულ ცენტრს, რომელიც აღჭურვილია 5 კომპიუტერთა და ინტერნეტით (DSL), რომლებიც განკუთვნილია ინსტიტუტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის, პრობლემატიკის აქტუალობა;

სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე როგორც ქართული, ისე დასავლური ჰუმანიტარული მეცნიერების კონტექსტში;

მაგისტრანტის ანალიტიკური აზროვნება და საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა;

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგია – მაგისტრანტის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები რამდენად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს;

მაგისტრანტის ინფორმაციული მომზადების დონე – რამდენად იცნობს იგი როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას და საკვლევი საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას;

სამაგისტრო ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;

იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტი ეყრდნობა მის მიერ შესრულებულ თარგმანს, ფასდება მისი სიზუსტე და სტილისტური მხარე.

სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი _

1. სრული პროფ. რისმაგ გორდეზიანი
2. სრული პროფ. ლევან გორდეზიანი
3. ასოც. პროფ. თინა დოლიძე
4. ასოც. პროფ. სოფიო შამანიდი
5. ასოც. პროფ. ირინე დარჩია
6. ასოც. პროფ. ნანა ტონია
7. ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა
8. ასოც. პროფ. ქეთი ნადარეიშვილი
9. ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე
10. ასოც. პროფ. იამზე გაგუა
11. ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე
12. ასოც. პროფ. ანი ჩიქოვანი
13. ასისტ. პროფ. მაკა ქამუშაძე
14. ფილ. მეც. დოქტ. მარიკა ერქომაიშვილი
15. ფილ. მეც. დოქტ. მაგდა მჭედლიძე
16. ფილ. მეც. დოქტ. გვანცა კოპლატაძე
17. ფილ. მეც. დოქტ. თამარ აფციაური
18. ფილ. მეც. დოქტ. მედეა აბულაშვილი
19. ფილ. მეც. დოქტ. მედეა მეტრეველი
20. ფილ. მეც. დოქტ. სვეტლანა ბერიკაშვილი

ახალი ბერძნული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა 2010–2011 წელი

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	ახალი ბერძნული სამეცნიერო ენა	სავალდებულო	15
2.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 ეპოსი	სავალდებულო	5
3.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 ლირიკა	სავალდებულო	5
4.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 3 დრამა	სავალდებულო	5
5.	ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობები და ბერძნული მწერლობა (XIX-XX სს.)	სავალდებულო	5
6.	XX საუკუნის ბერძნული პროზა	სავალდებულო	5
7.	ანტიკური ტრადიცია და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა	სავალდებულო	5
8.	თანამედროვე ბერძნული პოეზიის კორიფეები	სავალდებულო	5
9.	კვლევის თანამედროვე მეთოდები ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	სავალდებულო	5
10.	ახალი ბერძნული ენის ფორმირების ეტაპები	სავალდებულო	5
11.	თანამედროვე ბერძენი ავტორი	არჩევითი	10
12.	კულტურათა დიალოგი თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში	არჩევითი	5
13.	ყოფითი ჟანრის მოთხრობა	არჩევითი	5
	ბერძნული სიურეალისტური სკოლა	არჩევითი	5
14.	ფემინისტური მოძრაობის გავლენა XX საუკუნის ბერძნულ მწერლობაზე	არჩევითი	5

15.	რიტუალები XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში (რიტუალის კვლევის თანამედროვე კულტუროლოგიური და ეთნოგრაფიული ასპექტები)	არჩევითი	5
16.	იდენტობა ახალ ბერძნულ ლიტერატურაში	არჩევითი	5
17.	კვიპროსული ლიტერატურა	არჩევითი	5
18.	ანტიკური დრამა თანამედროვე ევროპულსა და ბერძნულ თეატრში	არჩევითი	5
	პრაქტიკა		
	საკურსო ნაშრომი		
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	
	სულ		120

ბიზანტიური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა 2010–2011 წელი

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	ახალი ბერძნული სამეცნიერო ენა	სავალდებულო	15
2.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 ეპოსი	სავალდებულო	5
3.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 ლირიკა	სავალდებულო	5
4.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 3 დრამა	სავალდებულო	5
5.	კვლევის თანამედროვე მეთოდები ბიზანტიურ ფილოლოგიაში	სავალდებულო	5
6.	ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული ენა	სავალდებულო	5
7.	ბიზანტიური ლიტერატურის ჟანრები	სავალდებულო	5
8.	ბერძნული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია	სავალდებულო	5
9.	ნეოპლატონზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის	სავალდებულო	5
10.	შუა საუკუნეების ლათინური ენა	სავალდებულო	5
11.	ბიზანტიელი ავტორი	არჩევითი	10
12.	ბიზანტიური ღვთისმეტყველება და ენის თეორიის საკითხები	არჩევითი	5
13.	XI-XII საუკუნეების ბიზანტიური ფილოსოფიური ტექსტები	არჩევითი	5
14.	სილვესტროს სიროპულოსის მემუარები	არჩევითი	5
15.	<i>სეპტუაგინტა, მისი ტექსტუალური კრიტიკა, ენა და თარგმანის ტექნიკა (იხ.: სამაგისტრო პროგრამის შუასაუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია“)</i>	არჩევითი	5
16.	ქართული მწიგნობრობის კერები	არჩევითი	5
17.	გრიგოლ ნოსელის <i>სულისა და აღდგომისათვის</i>	არჩევითი	5
18.	არეოპაგეტიკა	არჩევითი	5

19.	<u>პალეოგრაფია, კოდიკოლოგია</u> (იხ.: სამაგისტრო პროგრამის „ძველი ქართული ენა და თარგმანთმცოდნეობა“ სილაბუსები)	არჩევითი	5
20.	შუასაუკუნეების ლათინურენოვანი ავტორი	არჩევითი	5
21.	<u>ქართული თარგმანის ისტორია</u> (ათონამდელი, ათონი. შავი მთა, გელათი) იხ.: <u>სამაგისტრო პროგრამის</u> <u>შუასაუკუნეების ქრისტიანული</u> <u>აღმოსავლეთის ფილოლოგია“</u> <u>სილაბუსები</u>	არჩევითი	5
22.	Alexandrian Philosophy in Diverse Religious Contexts: (Paganism, Judaism, Christianity, Gnosis, Manichaeism)	არჩევითი	5
23.	Science, theology and language: an Introduction to Some Basic Issues of Philosophy in the Middle Ages	არჩევითი	5
24.	ბიზანტიური ცივილიზაცია	არჩევითი	
	პრაქტიკა		
	საკურსო ნაშრომი		
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	
	სულ		120

კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა 2010–2011 წელი¹

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	ახალი ბერძული სამეცნიერო ენა	სავალდებულო	15
2.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 ეპოსი	სავალდებულო	5
3.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 ლირიკა	სავალდებულო	5
4.	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 3 დრამა	სავალდებულო	5
5.	ანტიკურობა და თანამედროვე ლიტერატურული კონცეფციები	სავალდებულო	5
6.	ლათინური ენის ისტორია	სავალდებულო	5
7.	უძველესი მედიტერანულ-ქართველური მიმართებები	სავალდებულო	5
8.	ანტიკური ლექსთწყობა	სავალდებულო	5
9.	კვლევის თანამედროვე მეთოდები კლასიკურ ფილოლოგიაში	სავალდებულო	5
10.	ძველი ბერძნული ენის ისტორია	სავალდებულო	5
11.	ძველი ბერძენი/რომაელი ავტორი	არჩევითი	10
13.	მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძვლები (მითი და ლიტერატურა)	არჩევითი	5
14.	ქალი ანტიკურ სამყაროში	არჩევითი	5

¹ მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მაგისტრანტმა სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და/ან არჩევითი საგნები 30 კრედიტის მოცულობით, ჩაანაცვლოს მონათესავე სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებით (მაგალითად, ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია და სხვ.).

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და/ან არჩევითი საგნების ჩანაცვლება სხვა საგნებით და, შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა უნდა მოხდეს მაგისტრატურაში სწავლის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მათი წერილობითი თანხმობით. აღნიშნული ცვლილების შესახებ ოფიციალურად, წერილობით უნდა ეცნობოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

15	ანტიკური სამყაროს ქალთაA შემოქმედება	არჩევითი	
16	ანტიკური ფერთამეტყველება	არჩევითი	5
17	ელინისტური ეპოქის ლიტერატურული ექსპერიმენტები თანამედროვე პოეზიის კონტექსტში	არჩევითი	5
18	იტალიური ენა კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტებისათვის	არჩევითი	10
19	ჰომეროსი და რუსთაველი	არჩევითი	5
20	ახალი აღთქმის ბერძნული ენა (ანტიკური და კოინე)	არჩევითი	5
21	სენეკა	არჩევითი	
22	<i>სექტუაგენტა, მისი ტექსტუალური კრიტიკა, ენა და თარგმანის ტექნიკა</i> (იხ.: სამაგისტრო პროგრამა “შუასაუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია”)	არჩევითი	5
23	<i>ეგვიპტური ენა</i> (იხ.: სამაგისტრო პროგრამის „ძველი ენები და ცივილიზაციები“ სილაბუსები)	არჩევითი	5
24	<i>ხეთური ენა</i> (იხ.: სამაგისტრო პროგრამის „ძველი ენები და ცივილიზაციები“ სილაბუსები)	არჩევითი	5
	პრაქტიკა		
	საკურსო ნაშრომი		
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	
	სულ		120

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება ანტიკური ან ბიზანტიური ან ახალი ბერძნული ლიტერატურაში სასპეციალიზაციო მოდულის მიხედვით, წერთი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.

1. ანტიკური ლიტერატურის პერიოდები და ჟანრები
2. ჰომეროსის საკითხი - ერთიანობის, ისტორიასთან მიმართების, ფორმირების პრობლემების არსი
3. ჰესიოდეს მიმართულება ეპიკურ პოეზიაში
4. ბერძნული დეკლამაციური და სასიმღერო ლირიკა - არქილოქოსი, საპფო, ანაკრეონი, პინდაროსი
5. ბერძნული თეატრის წარმოშობა და დრამატული ფესტივალების ორგანიზაცია
6. ესქილეს ტრაგიკული თეატრი
7. სოფოკლეს ტრაგიკული თეატრი
8. ევრიპიდეს ტრაგიკული თეატრი
9. არისტოფანეს კომიკური თეატრი
10. ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი, ქსენოფონი - კლასიკური ისტორიოგრაფიის მწვერვალები
11. პლატონი, არისტოტელე და ბერძნული ფილოსოფიის მიმდინარეობები
12. ბერძნული და რომაული მჭევრმეტყველება
13. ელინისტური ლიტერატურის მწვერვალები: კალიმაქოსი, აპოლონიოს როდოსელი, თეოკრიტოსი
14. ახალატიკური და რომაული კომედია - მენანდროსი, პლავტუსი, ტერენციუსი
15. ოქროს ხანის რომაული პოეზია (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი)
16. ნიკეის მსოფლიო კრება და კონსტანტინოპოლის დაარსება
17. ბიზანტინიზმი და მისი შემადგენელი ოთხი ელემენტი. ბიზანტიური მწერლობის პერიოდები
18. ბიზანტიური რიტორიკული პროზა IV ს-ში. ლიბანიოსი და ბაკური. თემისტოისი და კოლხეთის რიტორიკული სკოლა
19. კაპადოკიელ მამათა და იოანე ოქროპირის შემოქმედება
20. არეოპაგიტული თხზულებანი. ნუცუბიმე-ჰონიგმანის თეორია
21. ბიზანტიური ეპიკური პოეზია: ნონოს პანოპოლელის შემოქმედება, მუსეოსის „ჰერო და ლეანდრე“ (მისი ქართული და ევროპული პარალელები), „დიგენის აკრიტასი“
22. ბიზანტიური რიტმული პოეზია. კონტაკიონი და მისი კომპოზიცია. რომანოს მელიოდოსის შემოქმედება. ჰიმნი „აკათისტო“ და მისი კომპოზიცია. კანონი და მისი კომპოზიცია (ანდრეა კრეტელის „დიდი კანონი“, იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის კანონები)
23. ბიზანტიური სამეცნიერო პროზა. ფოტიოსი და მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ლექსიკონი „სუდა“, კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტები და ისტორიული ხასიათის თხზულებები
24. „ბალავარის სიბრძნის“ („ვარლაამისა და იოსაფატის“) წარმოშობის საკითხი ბიზანტიურ მწერლობაში. ექვთიმე მთაწმიდელი - „ბალავარის სიბრძნის“ მთარგმნელი ქართულიდან ბერძნულად
25. ბიზანტიური რენესანსის საკითხი. მიქელ ფსელოსი, იოანე იტალოსი, იოანე პეტრიწი

26. კრეტული რენესანსი
27. ბერძნული ხალხური სიმღერები
28. ბერძნული რომანტიზმი
29. ყოფითი ჟანრის მოთხრობა (გიორგიოს ვიზიინოსი, ალექსანდროს პაპადიამანდისი)
30. კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა
31. კონსტანტინოს კავაფისი
32. ნეორომანტიზმისა და ნეოსიმბოლიზმის ათენური სკოლა
33. 1930-იანი წლების პროზა (ეოლიის სკოლა, ბურჟუაზიული რომანტიზმი)
34. 1930-იანი წლების პროზა (თესალონიკის სკოლა - მოდერნისტები)
35. ბერძნული სიურეალიზმი

ლიტერატურა:

1. გორდეზიანი რ., ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა. თბილისი 2002
2. ანტიკური ლიტერატურა. რ. გორდეზიანისა და ნ. ტონიას საერთო რედაქციით, თბილისი 2007²
3. ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963
4. შარლ დილი., ბიზანტიის იმპერიის ისტორია, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრგვაძემ, ნეკერი, თბილისი, 1999
5. The Oxford Dictionary of Byzantium ed. by A. P. Kazahdan, v. I-III, .New York/Oxford 1991
6. Культура Византии, т. I-III, Москва 1984-1991
7. თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, თბილისი 2007
8. ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი 2005
9. თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, თბილისი 2003

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის კოორდინატორს რისმაგ გორდეზიანს ან მოდულების ხელმძღვანელებს - ასოცირებულ პროფესორ ირინე დარჩიას (კლასიკური ფილოლოგია), ასოცირებულ პროფესორ თინა დოლიძეს (ბიზანტიური ფილოლოგია), ასოცირებულ პროფესორ სოფიო შამანიდს (ახალი ბერძნული ფილოლოგია).